საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წ. 18 მაისი

დადგენილება №49

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე - 56-ე მუხლების, ”მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, ”მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომისა და დიპლომის დანართის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, თანახმად №1 დანართისა;
2. დამტკიცდეს დიპლომის დანართის ფორმა, თანახმად №2 დანართისა;
3. დამტკიცდეს ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა“, თანახმად №3 და №4 დანართებისა;
4. დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი დოკუმენტების ჩამოწერის აქტის ფორმა, თანახმად №5 დანართისა;
5. დამტკიცდეს ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის დუბლიკატის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა“, თანახმად №6 დანართისა;
6. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
7. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ხელოვნების უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

რექტორი **ე. მესხია**

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2011 წლის 18 მაისის
№ 49 დადგენილების დანართი № 1

დიპლომისა და დიპლომის დანართის ფორმების შენახვა-გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი I. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და "მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტაციის) წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების საფუძველზე.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში "ბხსუ") უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომითა და სტანდარტული დანართით.

მუხლი 2. დიპლომისთვის წაყენებული მოთხოვნები

1. დიპლომი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა. დიპლომის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ. ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დიპლომის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო) უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. დიპლომის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა. დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;

ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისრტაციის ნომერი, დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი (არანაკლებ 6 ციფრი);

გ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები - "სფს".

3. ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი შეიმუშვებს და გასცემს ქართულ და ინგლისურენოვან დიპლომის ფორმას.

4. დიპლომის კონკრეტული ფორმის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს აკადემიური საბჭო.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას პირზე გაიცემა დიპლომი, რომლის სავალდებულო რეკვიზიტებია:

ა) წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზემო ცენტრალურ ადგილზე;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითების გარეშე);

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;

ე) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ფაკულტეტის სახელწოდება;

ვ) აკადემიური ხარისხისა/კვალიფიკაიცის მინიჭების თობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

ზ) პირის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია. (უმაღლესი განათლების)

თ) სპეციალობის დასახელება;

ი) ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

კ) რექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

ლ) ქალაქი, სადაც გაიცა დიპლომი (ბათუმი);

მ) დიპლომის გაცემის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

ნ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭედი;

ო) ბხსუ-ის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირებული დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი;

მუხლი 3. დიპლომის ფორმებით მომარაგება

1. დიპლომის ფორმებით მომარაგებას ბხსუ ახორციელებს დამოუკიდებლად.

2. დიპლომების ფორმების შეკვეთას ბხსუ აწარმოებს "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებისა და მე-7 მუხლის თანახმად, შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოში ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

3. პოლიგრაფიული საწარმოდან დიპლომის ფორმების გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია ბხსუ-ს მიერ გაცემული მინდობილობა.

4. პოლოგრაფიული საწარმოდან დიპლომის ფორმების გამოტანის შემდეგ დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს დიპლომის ფორმებს და უზრუნველყოფს მათ შენახვას.

5. დიპლომების აღრიცხვა ხორციელდება "საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. დიპლომების შენახვა

1. დიპლომების ფორმების შენახვა ხორციელდება "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5-7 პუნქტების შესაბამისად.

2. დიპლომის ფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში.

3. სათავსო, სადაც ინახება დიპლომების ფორმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

4. დიპლომის ფორმების შენახვას უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურების განყოფილება და ბხსუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 5. დიპლომის ფორმის შევსება და გაცემა.

1. დიპლომის ფორმის შევსება ხდება ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებისა და ბხსუ რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. დიპლომის გაცემის თაობაზე აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღისა.

2. ბხსუ-ს საქმის წარმოების სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული აქტის ელექტრონული ვერსიის მიწოდებას დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის მისი გამოცემიდან 02 სმუშაო დღის ვადაში;

3. შევსებული დიპლომების რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი № 2).

4. შევსებული დიპლომების ქსეროასლი, დამოწმებული დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, იმის გათვალისწინებით, თუ როდის მოხდება მისი გატანა, გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს კურსდამთვრებულის პირად საქმეში შესანახად.

5. დიპლომის ფორმების შევსების შემდეგ დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს კურსდამთავრებულთა სიას (დიპლომის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის მითითებით) და აწვდის ბხსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებს;

6. დიპლომის გაცემა მფლობელზე წარმოებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) წარმოდგენის საფუძველზე.

7. დიპლომის გაცემა ნდობით აღჭურვილ პირზე შესაძლებელია მინდობილობისა და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში მინდობილობა ინახება გაცემული დიპლომის ასლთან ერთად;

8. დიპლომის მფლობელი ან ნდობით აღჭურვილი პირი ხელმოწერით ადასტურებს დიპლომის მიღების ფაქტს დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №2).

მუხლი 6. დიპლომის ფორმისა და გაცემული დიპლომის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. სტუდენტთა მომსახურების განყოფილება ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული დიპლომის ფორმების გამოქვეყნება ბხსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დამტკიცებული ფორმის თითო ეგზემპლარი წარადგინოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვი სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდეგში "ცენტრში").

2. დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ცენტრის მიერ წარმოებულ სტუდენტთა რეესტრში, ინტერაქტიული ბაზის მეშვეობით, ინტერაქტიულ რეჟიმში სისტემატიურად განახორციელოს კონკრეტულ პირზე მის მიერ გაცემული დიპლომის ამ წესის მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერიისა და ნომრის და ამ დიპლომით მინიჭებული ხარსხის/კვალიფიკაციის თაობაზე ინფორმაციის შეტანა დიპლომის შევსებიდან 10 დღის ვადაში, აგრეთვე, აღიშნულ ინფორმაციაში ცვილებების შეტანისას - რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

3. დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აგრეთვე უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წერილობითი სახით წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

4. ცენტრისათვის წარდგენილი და ინტერაქტიულ ბაზაში შეყვანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია სტუდენტთა მომსახურების განყოფილება და დიპლომის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 7. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების ჩამოწერა შეიძლება:
ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;
ბ) დიპლომის ფორმის დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების ჩამოწერა უნდა მოხდეს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის სხდომის სათნადოდ შედგენილი ოქმისა და ჩამოწერის აქტის (დანართი №3) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნას დიპლომის ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. არასწორად შევსებული დიპლომის შეცვლა

1. არასწორად შევსებული დიპლომის მფლობელი ბხსუ-ს რექტორს მიმართავს განცხადებით დიპლომის შეცვლის თობაზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაცვლელი დიპლომისა და პირადობის მოწმობის ქსეროასლები (არასწორად შევსებულ დიპლომს პირადად აბარებს პასუხისმგებელ პირს).

2. ბხსუ-ს რექტორის ბრძნებით დანიშნული პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა იქნას დადგენილი თუ ვისი (ან რისი) მიზეზით იქნა დაშვებული შეცდომა დიპლომის შევსებაში (შეცდომა გამოწვეულია დიპლომის შევსების, თუ დეკანატიდან მოწოდებული არაზუსტი მონაცემების მიზეზით).

3. პირი, რომლის მიზეზითაც საჭირო გახდა შევსებული დიპლომის შეცვლა იხდის დიპლომის ღირებულებას დადგენილი წესით.

4. დიპლომში დაშვებული შეცდომის მიზეზის გარკვევის შემდეგ უფლებამოსილი პირის მიერ მზადდება დაშვებული შეცდომის (ხარვეზის) გასწორების, შევსებული დიპლომის გაუქმების და შესაბამისი დიპლომის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტი.

5. დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალში გადაიხაზება გაუქმებული დიპლომის მფლობელის სახელი და გვარი და კეთდება დამატებითი ჩანაწერი მასზე ახალი დიპლომის გაცემის თობაზე.

მუხლი 9. დიპლომის დუბლიკატის გაცემა

1. გაცემული დიპლომის დაკარგვის ან სხვადასხვა მიზეზით განადგურების შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გასცეს დუბლიკატი.

2. დაკარგული ან განადგურებული დიპლომის მფლობელი ბხსუ-ს რექტორს მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაერთოს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა დიპლომის დაკარგვის ან განადგურების შესახებ და პირადობის მოწმობის ქსეროასლი.

3. შესაბამის ორგანოში დიპლომის დაკარგვის გაცხადებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ იწყება საქმის წარმოება დუბლიკატის მოსამზადებლად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პასუხისმგებელი პირი, საარქივო დოკუმენტაციასა და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალზე დაყრდნობით ამზადებს და წარუდგენს ბსხუ-ს რექტორს ბრძანების პროექტს დაკარგული (განადგურებული) დიპლომის გაუქმებისა და მფლობელზე შესაბამისი დუბლიკატის გაცემის შესახებ.

5. დიპლომის დუბლიკატში უნდა ჩაიწეროს ის ფაკულტეტი და სპეციალობა, რომელიც თავის დროზე დაამთავრა მფლობელმა (იმისდა მიუხედავად მოცემულ მომენტში არის თუ არა ასეთი ფაკულტეტი ან სპეციალობა).

6. დიპლომის დუბლიკატში ქართულ და ინგლისურ ენოვან მხარეებში წარწერის "დიპლომი"-ს ქვეშ უნდა ჩაიწეროს "დუბლიკატი" - ან დაესვას შტამპი "დუბლიკატი".

7. დუბლიკატს ხელს აწერს ბხსუ-ს რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი თუკი დუბლიკატის გაცემის მომენტისათვის ფაკულტეტი, რომელმაც კვალიფიკაცია მიანიჭა დიპლომის მფლობელს გაუქმებულია ან რეორგანიზებული, დუბლიკატს ხელს აწერს იმ ფაკულტეტის დეკანი, რომელიც ითვლება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ფაკულტეტის სამართალმემკვიდრედ.

8. შევსებული დუბლიკატის რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომის დუბლიკატის სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №4).

მუხლი 10. დიპლომის დანართის გაცემა

1. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა, ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს თითოეული კურსდამთავრებულისათვის სტანდარტული დიპლომის

დანართის ელექტრონული ვერსიის მომზადებას ქართულ ენაზე, დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

2. დიპლომის დანართში მიეთითება დიპლომის სერია და ინდივიდუალური ნომერი ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. დიპლომის დანართის დასრულებული ელექტრონული ვერსია კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუგვიანეს 15 დღისა გადაეცემა დიპლომის შენახვა - გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

4. დიპლომის შენახვა - გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მიღებული ელექტრონული ვერსიის საფუძველზე კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუგვიანეს 20 დღისა ბეჭდავს დიპლომის დანართს.

5. დიპლომის შენახვა - გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს დიპლომის დანართის დამოწმებას, რომლის ქსეროასლი გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის სამდივნოს და თავსდება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო ორიგინალი დიპლომთან ერთად გადაეცემა კურსდამთავრებულს.

6. დიპლომის დანართი გაიცემა დიპლომთნ ერთად.

მუხლი 11. მოწმობის გაცემა

1. ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი მოწმობასთნ ერთად ამზადებს დანართს.

3. მოწმობისა და დანართის გაცემა ხდება დიპლომის გაცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

სწორია:

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 მაისის № 49 დადგენილების
დანართი № 2

ბათუმის ხელოვნების

სასწავლო უნივერსიტეტი

დიპლომის დანართი: BATU

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო ,,გამჭვირვალობის" გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერტიფიკატების და ა.შ) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

1. **კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია**

1.1 გვარი: X X X X X X X X X X XX

1.2 სახელი: X X X X X X

1.3 დაბადების თარიღი: X X X X X X

1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი: პირადი ნომერი- X X X X X X X X

2. **კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია**

2.1 კვალიფიკაციის დასახელება: ხელოვნების ბაკალავრი

2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგი: X X X X X X X X X X X X X X X X

2.3 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე): "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი".

1995 წლის 29 სექტემბერს ქ. ბათუმში დაარსდა ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის N37 დადგენილებით ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს № 146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის № 180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

2.5 სწავლების/გამოცდის ენა ქართული

3. **ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ**

3.1 კვალიფიკაციის დონე: **ბაკალავრი**

3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სასწავლო წელი,- 8 სემესტრი. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

3.3 მიღების მოთხოვნები: სრული ზოგადი განათლების ფლობა, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება.

ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

4.1 სწავლების ფორმა: დასწრებული

4.2 პროგრამის მოთხოვნები: **კურსდამთავრებული ფლობს დარგობრივ ცოდნას** - რეჟისურაში, მსახიობის ოსტატობაში, მეტყველებაში, რიტმიკაში, ქართულ და კლასიკურ ცეკვაში, ხელოვნების მენენჯმენტში, სცენოგრაფიაში, გრიმის დადების ტექნოლოგიაში, თოჯინების ტექნიკასა და ტექნოლოგიაში.

გააჩნია დარგობრივი უნარები

1. სამსახიობო ოსტატობა - სამსახიობო უნარ-ჩვევები, არტისტიზმი, კომპოზიციის შეგრძნება, შესრულების ინდივიდუალური მანერა და იმპროვიზაცია. კარგი მეტყველება, პლასტიკა, მუსიკალური სმენა, ლოგიკური აზროვნება, დახვეწილი გემოვნება. სცენიური სახე, როლზე მუშაობის სრულფასოვანი აღქმის უნარი და პერსონაჟის სახისათვის დამახასიათებელი თვისებები. ტექსტის აზრის წვდომა, დამოკიდებულება ტექსტთან და ქვეტექსტთან. შემოქმედებითი ყურადღება, ყურადღება პარტნიორის მუშაობის მიმართ. შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირება.

2. სხეულის პლასტიურობის უსიტყვოდ წარმოსახვის ხელოვნება - რეჟისორული ჩანაფიქრისა და მუსიკის უსიტყვოდ წარმოსახვის ხელოვნება, პლასტიური მოძრაობა, პლასტიკური მეხსიერება, კომპოზიციის შეგრძნება, პარტნიორთან პლასტიკური ურთიერთქმედება, არტისტიზმი, შესრულების ინდივიდუალური მანერა და იმპროვიზაცია.

3. მეტყველება -პიესის კითხვა, ინტერპრეტაცია, სასცენო პრინციპების ცოდნა. აზრების ურთიერთგადაცემა, რომელიც დამოკიდებულია ხმის ტემბრზე, მიმიკაზე, ჟესტიკულაციაზე, მსმენელის დაინტერესებასა და ყურადღებაზე.

4. რითმიკა - სხეულის პლასტიურობის უსიტყვოდ წარმოსახვის ხელოვნება და ეხმარება მსახიობს როლის გახსნაში. სხეული ხდება უფრო მოქნილი, ყალიბდება სხეულის კოორდინაცია. სხეულის კიდურების პლასტიური განვითარება, რაც ეხმარება სხეულის ფლობის ტექნიკის წარმოჩენას სცენაზე.

5. გრიმის დადების მეთოდიკა - გამომსახველობითი საშუალებების ვიზუალური მხარე, გრიმის ესთეთიკა, შუქ-ჩრდილების ხელოვნება, ფერის მნიშვნელობა გმირის ხასიათის გახსნისას, გრიმის დადების ტექნოლოგია: სახის, თვალის, თმის, წარბის, წამწამის, წვერის, ულვაშის დადების ხერხები.

6. ხელოვნების მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნეს-დაგეგმარება და პიარი - როგორ წარიმართოს თეატრის ადმინისტრაციული მუშაობა და მუშაობა და პიარ კამპანია. რამდენადაა იგი დაკავშირებული და დამოკიდებული თეატრის შემოქმედებით საქმიანობასთან და რამდენად აისახება ორივე სფეროს მუშაობა პრაქტიკულად ერთმანეთზე. შეიმუშაონ თეატრის ორგანიზაციასთან და მართვასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პროექტები.

7. სცენოგრაფია - სპექტაკლის მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელება, სცენოგრაფიული მასალები, სცენოგრაფიული კონსტრუქციები, სცენიური სივრცის კომპოზიციური ორგანიზაციის სხვადასხვა მეთოდები და ხერხები. გამომსახველობითი ინფორმაცია სცენოგრაფიაში: გრაფიკული გამოსახვა (ესკიზები), მოცულობითი აგება (მაკეტი), მასშტაბი, პერსპექტივის ძირითადი კანონი. მაკეტის დამზადების მეთოდიკა და ტექნოლოგია. მხატვრის ფუნქცია, როგორც დადგმის თანაავტორის. რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი ურთიერთქმედების თავისებურებები.

კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს ზოგადი კომპეტენციები

1. **ანალიზის უნარი** - შეუძლია სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

2. **ინფორმაციის მართვა** - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.
3. **პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება** - დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს საკუთარი სპეციალობის ფარგლებში.

4.3 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი) - *იხ. ნიშნების ფურცელი.*

პანტომიმის თეატრის სამსახიობო
ძირითადი სპეციალობა
ნიშნების ფურცელი

N	სასწავლო კურსის დასახელება	სემესტრი	მოცულობა კრედიტებში	სასწავლო კურსის სტატუსი	შეფასება	
1	საქართველოს ისტორია	I	5	*ძირითადი*	D	62
2	უცხო ენა (ფრანგული)	II	10	*ძირითადი*	D	70
3	მსახიობის ოსტატობა	I, II, III, IV, V, VI, VII	44	*ძირითადი*	A	91
4	საზღვარგარეთის თეატრის ისტორია	VI	10	*ძირითადი*	C	73
5	ქართული ცეკვა	III, IV	11	*ძირითადი*	A	97
6	რიტმიკა	I, II	10	*ძირითადი*	A	100
7	სასცენო მეტყველება	I, II	6	*ძირითადი*	C	79
8	კლასიკური ცეკვა	III, IV	10	*ძირითადი*	A	100
9	სახვითი ხელოვნების ისტორია	II	5	*არჩევითი*	A	91
10	ქართული თეატრის ისტორია	V	5	*ძირითადი*	D	65
11	მუსიკის ისტორია	II	5	*არჩევითი*	D	67
12	სასცენო მოძრაობა	III, IV	8	*ძირითადი*	A	96
13	კინოს ისტორია	II	5	*არჩევითი*	B	81
14	რეჟისურის შესავალი	II	5	*ძირითადი*	A	92
15	სცენოგრაფია	II	5	*ძირითადი*	C	80
16	კულტურის თეორია და ისტორია	II	5	*არჩევითი*	E	54
17	ფარიკაობა	VI	5	*ძირითადი*	C	80
18	ვოკალი	III	6	*ძირითადი*	C	77
19	სადიპლომო სპექტაკლი	VIII	15	----------	A	96
20	პრაქტიკა	VII	5	----------	A	100
	სულ ***შეფასების საშუალო მაჩვენებელი***		***180***		GPA ძალიან კარგი	

დრამისა და კინოს სამსახიობო
დამატებითი სპეციალობა
ნიშნების ფურცელი

N	სასწავლო კურსის დასახელება	სემესტრი	მოცულობა კრდიტებში	სასწავლო კურსის სტატუსი	შეფასება	
1	მსახიობის ოსტატობა	V, VI, VII, VIII	24	*ძირითადი*	D	65
2	სასცენო მეტყველება	V, VI, VII, VIII	16	*ძირითადი*	D	65
3	სასცენო მოძრაობა	V, VI, VII, VIII	8	*ძირითადი*	B	84
4	ქართული ცეკვა	V, VI, VII, VIII	8	*ძირითადი*	A	92
5	გრიმი	V, VI, VII, VIII	4	*ძირითადი*	B	90
	სულ		***60***			

4.4. შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია: კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:
ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე) - შეფასების საშუალო მაჩვენებელი
(GPA): **ძალიან კარგი**

5. **ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ**

5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე: კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

5.2 პროფესიული სტატუსი – ძირითადი დასაქმების სფეროებია: დრამატული თეატრი, თოჯინების თეატრი, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები,

სახელოვნებო დაწესებულებები, პედაგოგად სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში, რესურს ცენტრები და სხვა.

6. **დამატებითი ინფორმაცია**

6.1 დამატებითი ინფორმაცია: სტუდენტმა პრაქტიკა გაიარა თბილისის პანტომიმის თეატრში

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები:

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

7. **დანართის დამოწმება**

7.1. თარიღი

7.2. ხელმოწერა: X X X X X X X X X X X X X X X X X X X X

7.3. თანამდებობა: რექტორი, პროფესორი დეკანი

7.4. ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი:

8. **ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ**

საქართველოს განათლების სისტემა

სკოლის სისტემის სტრუქტურა

დაწყებითი სკოლა მოიცავს 6 წლიან სწავლებას.

საბაზო სკოლა მოიცავს 3 წლიან სწავლებას. საბაზო განათლება სავალდებულოა.

საბაზო სკოლის შემდგომ შესაძლებელია სახელობო განთლების მიღება.

საშუალო სკოლა მოიცავს 3˚ წლიან სწავლებას, რისი დამთავრების შემდეგაც ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი.

უმაღლესი განათლების სისტემა:

საქართველოში არსებობს სამი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: კოლეჯი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი. უმაღლესი განათლება სამ საფეხურიანია: ბაკალავრიატი - 240 კრედიტი, მაგისტრატურა - 120 კრედიტი და დოქტორანტურა - 180 კრედიტი. აგრეთვე არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს პირველი საფეხურის ფარგლებში არსებულ დონეს – 120-180 კრედიტი და ერთსაფეხურიანი სამედიცინო (სავეტერინარო) განათლება - 300-360 კრედიტი.

სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომებს. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.nea.ge

დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი.

სამედიცინო (ვეტერინარული) განათლება - სამედიცინო განათლებაზე დასაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) დიპლომი

ბაკალავრიატი - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია ასევე დიპლომირებულ სპეციალისტს. პროგრამის

დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ ბაკალავრის დიპლომი, წარმატებულ სტუდენტებს კი ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით;

მაგისტრატურა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. მისი დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი (დიპლომი), წარმატებულ სტუდენტებს კი მაგისტრის დიპლომი წარჩინებით;

დოქტორანტურა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. მისი დასრულების და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლის პირობები:

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები. სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად

აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადიან შესაბამის კონკურსს სასპორტო და სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

შეფასების სისტემა

უმაღლეს სასწავლებელში შეფასების სისტემა 100 ქულიანია.

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 მაისის № 49 დადგენილების

დანართი № 3

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

დიპლომის

გაცემის სარეგისტრაციო

ჟურნალი

რიგი	გვარი და სახელი	დაბა- დების წელი თვე და რიცხვი	დამ- თავ- რე- ბის წე- ლი	ფაკულ- ტეტი	სპეცია- ლობა	მინი- ჭებული აკადემიუ- რი ხარისხი	აკადემიუ -რი ხარისხის მინი- ჭების ოქმის № და თარიღი	დიპლო- მის ბლან- კის სერია და №	დიპლო- მის გაცემის თარი- ღი	რეგის- ტრა- ციის თარიღი №	პირადო- ბის მოწმო- ბის (პას- პორტის) № და ხელწე- რა	პასუხის- მგებელი პირის ხელ- წერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 მაისის № 49 დადგენილების

დანართი № 4

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

დიპლომის

დანართის სარეგისტრაციო

ჟურნალი

l	გვარი და სახელი	სპეციალობა	შესვ ლის წელი	დამთა ვრების წელი	მინიჭებული აკადემიური ხარისხი	აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმის № და თარიღი	დიპლომის ბლანკის სერია და №	პირადობის მოწმობის (პასპორტის) № და ხელწერა	დანართის გამცემის ხელწერა	თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 მაისის № 49 დადგენილების

დანართი № 5

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ა ქ ტ ი №

„ _ _ _ _ „ „ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 20 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი დოკუმენტების ჩამოწერის შესახებ

№	დიპლომის ფორმა	დიპლომის ექსკლუზიური ნომერი

კომისია ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი დიპლომების ნიმუშების ჩამოწერის სისწორეს.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე
წევრები:

მდივანი
დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე

პასუხისმგებელი პირი

სსიპ-ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 მაისის № 49 დადგენილების

დანართი № 6

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

დიპლომის დუბლიკატის

გაცემის სარეგისტრაციო

ჟურნალი

რ ი გ ი	გვარი და სახელი	კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი)	გაუქმე- ბული დიპლო- მის გაცემის თარიღი	გაუქმე- ბული დიპლო- მის სერია და №	დუბლიკატის გაცემის ბრძანების № და თარიღი	დუბლი კატის სერია და №	გაცემის თარიღი	რეგის- ტრა- ციის №	მფლობელის პირადობის მოწმობის № და ხელწერა	პასუხის- მგებელი პირის ხელწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11